ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №29

აბაშა, 2023 წლის 19 მაისი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის, 180-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

1. მიეცეს თანხმობა აბაშის მუნიციპალიტეტის მერს, ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, გასცეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება: აბაშა, სოფ. მარანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1670.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №40.05.33.485) განთავსებული 575.90 კვ.მ შენობა-ნაგებობიდან 278.00 კვ.მ.
2. უძრავი ქონების იჯარის ქირის საწყისი წლიური საფასური შეადგენს 12720 (თორმეტიათას შვიდასოცი) ლარს, ბიჯის ოდენობა განისაზღვროს ქონების იჯარის ქირის საწყისი წლიური საფასურის 1%-ის ოდენობით, უპირობო და გამოუხმობი (საგარანტიო თანხა) ბეს ოდენობა განისაზღვროს იჯარის ქირის საწყისი წლიური საფასურის 20%-ის ოდენობით.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: გელა ხოშტარია